# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

28 სექტემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№41 (9303)
~~ფასი 40 თეთრი~~

## ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა მაღალმთიანი სოფლები დაამშვენა





სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში: მოლითში, ქიხარულაში, ბალანთასა და ტაბაწყურში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დასრულების ეტაპზეა.

სოფელ ბალანთასა და ქიხარულაში საბავშვო სკვერები მოეწყო, მოლითში სპორტული ტრენაჟორები დამონტაჟდა, ხოლო ტაბაწყურში სასმელი წყლის სისტემა განაახლეს.

საკონსულტაციო შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2023 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

## ვულოცავთ!



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია გიორგი ტალახაძეს ულოცავს მსოფლიო რეკორდის დამყარებას. 23 სექტემბერს ბორჯომელმა სპორტსმენმა გიორგი ტალახაძემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ხუთი ტრაილერი, დაახლოებით 85 ტონა, მხრებით გასწია.

გაზეთ „ბორჯომის" რედაქცია და მისი მრავალრიცხოვანი ხელისმომწერლები გულწრფელად ულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას ჩვენს სახელოვან გოლიათს.

## ტურისტული მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია დასრულდა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ქიხარულაში, ბალანთაში და მოლითამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში გზის 2.2 კმ-იან მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი და მიმდებარედ ბეტონის საყრდენი კედლები მოეწყო.

აღნიშნულ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია პირველად ხორციელდება. განახლებული გზა ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტულ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ტაბაწყურთან მისასვლელი, ახალქალაქი-ბორჯომის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 2019 წელს დაიწყო და პირველ ეტაპზე სოფელ ბალანთისა და ქიხარულის გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი მომავალ წელსაც განხორციელდება და ჯამში, 12 კმ-მდე გზის მონაკვეთზე ასფალტობეტონის საფარი დაიგება.



- სოფელ ტაბაწყურს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, აქ არის ულამაზესი ტბა, რომელსაც ძალიან ბევრი ვიზიტორი სტუმრობს, განახლებული საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთის ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

## როგორც იქნა, გვეღირსა!



**რამდენიმე დღეა ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს ზებრა გადასასვლელების დახაზვის პროცესი. სამწუხაროდ, სეზონი ისე გავიდა, რომ ადგილობრივებს, ჩამოსულ სტუმრებს, ქვეითად მოსიარულეებსა თუ ავტომანქანის მფლობელებს წარმოსახვით წრიულებსა თუ ზებრა გადასასვლელებზე უხდებოდა მოძრაობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადად წარმოსახვითი ზებრა გადასასვლელების წინ ადგილობრივი მძღოლები თუ გვითმობდნენ გზას, რომლებმაც იცოდნენ, თუ სად იყო ადრე გადასასვლელი. მადლობა უფალს, რომ სეზონმა ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე ჩაიარა. რამდენად მოულოდნელი იყო ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ ზებრა გადასასვლელების დახაზვის პროცესი ქალაქში ჩვენ მოქალაქეებს ვკითხეთ:**

**ნინო ჩადუნელი:** - არის, გვეღირსა ამდენი ხნის შემდეგ. საკურორტო სეზონი დასრულდა და მადლობა ღმერთს, რომ არანაირი მსხვერპლი არ იყო. სულ ასეთი კარგი და სასიხარულო სიახლეები გვქონებოდეს.

**მაია გელაშვილი:** - ამაზე მეტად არაფერი გამხარებია. მშვიდად მაინც ვივლი, მთელი სეზონი სულ შიშით დავდიოდი.

**გურამი ნოზაძე:** - ველოდებოდი და ეს დღეც დადგა. სეზონი ისე გაიყვანეს, რომ ტრადიციულად არაფერი გაუკეთებიათ. მადლობა უფალს, რომ აწი მშვიდად ვივლით.

**ციალა ხაჩიძე:** - დღეს თუ რამე გამახარებდა, არ მეგონა. სასწავლო პროცესი განახლდა და სკოლების წინ ხომ მაინც უნდა დაეხაზათ და მოეწესრიგებინათ გადასასვლელები? ყველა ბავშვს ხომ უფროსი არ დაყვება და კიდევ კარგი დაიწყეს და შიში აღარ გვექნება, რომ ბავშვები დამოუკიდებლად შიშის გარეშე ივლიან.

**ნატო მელიქიძე**

### სადღეისო თემაზე

## გულარხეინობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი

**დღეს, მედიასაშუალებები თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ საქართველოს ევროკავშირში წევრად მიღების საკითხებს, რაც თითოეული შეგნებული ქართველისათვის არა მარტო დიდი დაფასება, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. კარგად მესმის, თუ რა დიდ სიკეთეს მოგვიტანს ევროკავშირის წევრობა, მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, რომ ჩვენი მოქალაქეების ერთი ნაწილი ვერ აცნობიერებს იმ სიკეთეს, რასაც ევროპიდან მოველით. ისმის კითხვა - ვაკმაყოფილებთ თუ არა ევროკავშირის მოთხოვნებს, თუნდაც ქალაქში ან დასახლებულ პუნქტში სანიტარიული ნორმების დაცვის თვალსაზრისით.**

პირადად მე, ოთხმოციანი წლების შემდეგ, საზღვარგარეთ არ ვყოფილვარ, წაკითხულიდან და ნამყოფების მონათხრობებიდან ვიცი, რომ ევროპის ქვეყნების თითოეულ დასახლებულ პუნქტში იდეალური სანიტარიული წესრიგია, ამ მხრივ ევროპის ქვეყნებს ვერ შევედრებით, ევროპელების შინაგანი კულტურა მაღალია და თითოეული მათგანი პერსონალურად ზრუნავს საკუთარი ქალაქის, სოფლის, ქუჩის, უბნის თუ ეზოს სისუფთავისათვის. ამას წინათ ემიგრაციაში წასული ბორჯომელის საუბარი მოვისმინე და გაოცებული დავრჩი იქ მომხდარი ფაქტის გამო. თურმე ჩვენი თანამემამულე, რომელიც ესპანეთშია სამუშაოდ წასული, თავის ამხანაგს შეხვედრია, საუბრის შემდეგ საკუთარი მანქანით გაუსეირნებიათ, ბორჯომელს მანქანის სალონში სიგარეტი მოუწევია და ნამწვი გარეთ გადაუგდია. პოლიციელი დადევნებია და 10 კილომეტრის გავლის შემდეგ, როგორც იქნა დაუკავებია და დაუჯარიმებია.

ალბათ, გაინტერესებთ, ჩვენთან როგორაა საქმე ამ მიმართულებით. მოკლედ გეტყვით, ძალიან ცუდად. მოსახლეობა ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას მშობლიური ქალაქისადმი და სადაც მოესურვება, იქ დაყრის ნაგავს, ამ მიმართებით არც დასუფთავების ზოგიერთი მეეზოვე არ გამოირჩევა მოვალეობის პირნათლად შესრულებით. ქუჩები ბევრგან ცუდად იგვება და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს ალბათ არც არავინ ამოწმებს. თუმცა არიან კეთილსინდისიერი მეეზოვეები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.



მინდა რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მოვიყვანო ქალაქის ცენტრში არსებული მოედნები, მტკვრის ორივე მხარეს გადავსებულია ტაქსებით, ტურისტთა მომსახურებისათვის გათვალისწინებული ორხიდიანი მანქანებით, კერძო ტრანსპორტით, რომლებიც კლიენტების მოლოდინში არიან. ზოგი სიგარეტს ეწევა, ზოგი მზესუმზირით ირთობს თავს და ნამწვს თუ მზესუმზირის ჩენჩოს სადაც დგას - იქვე ყრის, თუმცა ორ მეტრში სანაგვე ურნაა ჩამოკიდებული. ვერც დასუფთავების სამსახურის ზოგიერთ მეეზოვეს ვეტყვი მადლობას, თავისი მოვალეობის უხარისხოდ შესრულებისათვის, ისინი როგორც წესი თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ საქონლის თუ ძაღლების სკორეს აღება (როგორც ამბობენ, თურმე ცოცხები დაუბინძურდებათ).

ქალაქის ცენტრში არსებული მოედნები და ქუჩები ცუდად იგვება, მაგალითად, რობაქიძის ქუჩის დასაწყისში არის ელექტროკიოსკი, ეს ადგილი ანტისანიტარიის და ქვეწარმავლების ბუდედაა გადაქცეული, ამასთან ეკალბარდებითაა გადავლილი იქაურობა, ამ ყველაფერს ემატება დუმბაძის ქუჩიდან მოსახლეობისა და გამვლელ-გამომვლელის მიერ გადმოყრილი ნაგავი, თუმცა იქვე არსებული სანაგვე კონტეინერში ნაგვის ჩაყრა ვერ მოუხერხებიათ.

არანაკლებ საგანგაშო ვითარებაა დუმბაძის ქუჩაზე კულტურის სახლის უკანა მხარეს არსებული შენობის ირგვლივ (სხვათა შორის ამ სახლის თაობაზე არაერთხელ დაიწერა გაზეთ „ბორჯომში", მაგრამ ვითარება უარესდება). იმ შენობას სახლს ვერ უწოდებთ, უპატრონობით იქაურობა გაპარტახებულია და შენობის შემორჩენილი კედლები და სახურავი ეკალბარდებითაა გადავლილი. ახლა ამ შენობის სიახლოვეს ადამიანებს გავლაც კი უჭირთ, ტერიტორია სანაგვედაა გადაქცეული.

და ბოლოს, რობაქიძის და დუმბაძის ქუჩების გასწვრივ არსებული საყრდენი კედელი ავარიულ მდგომარეობაშია და როდის ჩამოიშლება, არავი იცის.

სამწუხაროდ, ვისაც ევალება ამ ნაკლოვანებების აღმოფხვარა, როგორც ჩანს, ისინი ფეხით არ დადიან და ეტყობა მანქანიდან ეს ნაკლოვანებები არ ჩანს, ვთხოვდი, ფეხით გამოიარონ ქუჩაზე და დანარჩენს იქ ვეტყვი.

**ნოდარ ნოზაძე,**
**პენსიონერი დუმბაძის ქუჩის მცხოვრები**

# რატომ ვერ დავძლიეთ უმუშევრობა და სიღარიბე?

**ამბობენ, იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო, ანუ მაშინ, როცა ადამიანს იმედი გადაეწურება და სასოწარკვეთაშია, ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, იმედიანად იცხოვროთ, ჩვენ ხომ მომავალს იმედიანად შევყურებთ და ყოველ დილას უფლისაგან სიკეთესა და სიყვარულს ველოდებით. სამწუხაროდ, მოგვიმრავლდნენ პესიმისტი და ურწმუნო თომები, რომლებიც ამ ქვეყანაზე მხოლოდ ნაკლოვანებებს ხედავენ. (მხოლოდ ამ ნაკლოვანებებს სხვისას უფრო შავ ფერებში ხედავენ და საკუთარს კი ნურას უკაცრავად). ასეთი ადამიანები არ უფრთხილდებიან მშობლიური ქვეყნის ღირსებას, რომ შეეკითხო, განსაკუთრებით პოლიტიკურ საკითხებში არიან „ძლიერები“ და ყველა თემაზეც შეუძლიათ პაექრობა მოწინააღმდეგესთან. ამ პროცესს შესანიშნავად ვხედავ ქვეყნის საპარლამენტო სხდომებზე, როგორი აზრთა სხვადასხვაობა და ფიზიკური დაპირისპირებაა. როცა ამ სცენარებს უყურებთ, მართლა გვეცოდება ჩვენი საყვარელი სამშობლო, ალბათ, ბევრ ხშირად აღმოხდენია სიტყვები „ვაი შენ ჩვენო ბედკრულო საქართველოვ“, არადა კარგახანია, თითქმის 32 წელი მიილია, რაც დამოუკიდებელ ქვეყანას ვაშენებთ და თუ როგორ ავაშენეთ, ვხედავთ. დღემდე მოუშუშებელ იარად ატყვია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას – სიღარიბე, უმუშევრობა და ინფლაცია.**

**ეს სამი ე.წ. გველეშაპი სიცოცხლეს უმწარებს ადამიანებს.**

**ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ ვერ ახერხებს დღევანდელი ხელისუფლება ამ პრობლემების გადაწყვეტას?**

**როგორც ეკონომისტები ამბობენ, უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმდევი პრობლემაა, რომელიც მსოფლიოში ყველა დონის სახელმწიფოებს არყევს.**

**ჩვენისთანა** პატარა ქვეყანაში – საქართველოში უმუშევრობა გამოიწვია 32 წლის წინათ ქვეყანაში მომხდარმა სახელმწიფოს ფორმაციის შეცვლამ, ეროვნული ეკონომიკის გადაწყობამ კაპიტალისტურ სისტემაზე, რისთვისაც სსრ კავშირის რესპუბლიკები მოუმზადებელები აღმოჩნდნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელისათვის.

ამ პროცესმა მარტო საქართველოს მრეწველობას დაახლოებით 350-380 ათასი სამუშაო ადგილი დააკარგვინა. მრეწველობის წარმოება-დაწესებულებები განადგურდა, ბევრი საწარმოს ძირითადი საშუალებები ჯართად ჩააბარეს, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები გაიპარტახეს და დღეს ბევრს მათი სახელებიც აღარ ახსოვს. მარტო ბორჯომის რაიონის მაგალითი რომ ჩამოვთვალო, ალბათ, თმა ყალყზე დაგიდგებათ, რომ არა ქვეყნიდან ემიგრაციაში წასულთა მრავალრიცხოვნობა, ჩვენთან უმუშევრობა და სიღარიბე კიდევ უფრო მასშტაბური იქნებოდა.

**1990 წლამდე ბორჯომში 18 სამრეწველო საწარმო წარმატებით მოქმედებდა. (საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“, ჩითახევჰესი, საავეჯო ფაბრიკა, ანდეზიტის წარმოება, ხორცკომბინატი, ზანავის წვენების ქარხანა, წისქვილქარხანა, შუშის ქარხანა, რძის ქარხანა, რამდენიმე საამშენებლო ორგანიზაცია, სატვირთო, სამგზავრო, საკურორტო ავტოსაწარმოები, სამშენებლო ავტოსაწარმოები, ადგილმრეწველობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სატყეო მეურნეობები და სხვები. საწარმოებს არ აკლდა კვალიფიციური მუშახელი, ეს საწარმოები წელიწადში ათობით მილიონობით მანეთის პროდუქციას აწვდიდა მოსახლეობას, ხოლო საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ ორჯერ უფრო მეტს და ა.შ.**

**აღარაფერს ვამბობ საკურორტო ობიექტებზე, ბორჯომის კურორტთა სამმართველო წელიწადში 100-120 ათას ავადმყოფ-დამსვენებელს ემსახურებოდა.**



**დღეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან მხოლოდ ბორჯომის მინწყლის ორი ჩამომსხმელი ქარხანა და ჩითახევჰესი მუშაობს, სხვა დანარჩენი გაუქმებულია. 14 საკურორტო დაწესებულებიდან არცერთი თავის ფუნქციას აღარ ასრულებს. უკანასკნელი ორი ობიექტი წაღვერში „კეჩხობი“ და პლატოზე „კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი“ სულ ახლახანს გაიყიდა. ასე გაიყიდა ზემოთ ჩამოთვლილი წარმოება-დაწესებულებების გაპარტახებული შენობა-ნაგებობები და ტერიტორიები.**

იმდროინდელი მთავრობის შესაბამისი განკარგულებით ყველა გაყიდული ობიექტის მეპატრონეს ორ-სამ წელიწადში უნდა აღედგინა მისთვის სასურველი საწარმო და დაესაქმებია იქ ადრე დასაქმებული ადამიანები. მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა და მესაკუთრეებს თითი-თითზე არ დაუდიათ კაპიკებში შეძენილი ობიექტების აღსადგენად, ახლა ისინი მდიდარი ინვესტორის გამოჩენის მოლოდინში არიან, რათა ობიექტის გაყიდვით ხელი მოითბონ.

ქვეყნის მოსახლეობის დაუსაქმებლობის და სიღარიბეში ყოფნის უმთავრესი მიზეზიც თითქმის გარკვევით ჩამოვაყალიბე.

რამდენიმე კეთილსინდისიერი ინვესტორი მართლაც დიდი მოვლენა იყო ბორჯომელებისათვის, მათი შექმნილი სასტუმროები „ქრაუნ პლაზა“, „შერატონ ბორჯომი“ და „ბორჯომ-ლიკანი“, ბაკურიანის მაღალსართულიანი სასტუმროები და საოჯახო სასტუმროთა კომპლექსები ბორჯომში, ცემში, სადგერში, წაღვერში, მზეთამზეში, ტიმოთესუბანში ძირითადად მხოლოდ ზაფხულობითაა დატვირთული. ინდმეწარმეთა დიდი გამჭრიახობა, მონდომება დიდი შვება იყო ბორჯომელი მოსახლეობისათვის. თუ ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებს დავუმატებთ სუპერმარკეტებს, კაფე-რესტორნებს, პურის საცხობებს, ცალკეულ მცირე მოცულობის სამშენებლო ფირმებს, აგრარული ბაზრის გამყიდველებს თუ გადამყიდველებს და იქ დასაქმებულ ადამიანებს, ესაა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძირითადი ეკონომიკა და მოსახლეობის დასაქმება.

სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის მხარეში მოსახლეობის უმუშევრობის დონით ბორჯომი პირველ ადგილზეა, თუ ამ ყველაფერს იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენთან მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. თუ ბორჯომის რაიონში 1989 წლის მოსახლეობის აღწერით 40 ათასამდე მაცხოვრებელი იყო, 2002 წლის აღწერით მათი რიცხვი 32 ათასამდე, ხოლო 2014 წლისათვის 25 ათას მაცხოვრებლამდე შემცირდა ან 25 წელიწადში რაიონის მოსახლეობა 15 ათასი ადამიანით შემცირდა. სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე მოსახლეობის ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ამიტომაცაა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში და თვით ქალაქ ბორჯომში ყოველი მესამე-მეოთხე სახლი ბოქლომდადებულია, ანუ ოჯახის წევრები ემიგრაციაში არიან გახიზნულები.

ცნობილი დემოგრაფები, ეკონომისტები, სწავლული ადამიანები ხმამაღლა აცხადებენ, – ასეთ ცუდ მდგომარეობაში მოსახლეობა ნამდვილად არ იქნებოდა, ფულიან ადამიანებს ინვესტიციები ქვეყნის განვითარების საქმეში რომ ჩაედოთ. როგორც 2019 წელს „ბიზნესპარტნიორისათვის“ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად საქართველოში 488 მილიონერი გვყავდა ანუ ერთ წელიწადში 488 ბიზნესმენმა (თითოეულმა) მილიონზე მეტი შემოსავალი მიიღო. ამ ადამიანებს თავიანთი შემოსავლებიდან თითოეულ მათგანს თითო სამრეწველო ობიექტი რომ აეშენებია საკუთარ სამშობლოში, ხალხიც დასაქმდებოდა და ამოისუნთქავდა.

სამწუხაროდ, ქართველი ბიზნესმენების უმრავლესობას თურმე თავიანთი შემოსავლები საქართველოს ფარგლებს გარეთ ჰქონიათ დაბანდებული.

**ვალერიან ლომიძე.**

**(გაგრძელება იქნება)**

# მთავარი გზავნილი 699 აღსაზრდელისათვის

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის“ – ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ნინო ბენდელიანმა ბორჯომის საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი ღია კარის დღით დაიწყო. 11 საბავშვო ბაგა-ბაღში სააღმზრდელო პროცესი განახლდა. 2023-2024 სასწავლო წელს 201 აღსაზრდელი პირველად შეაღებს საბავშვო დაწესებულებას, ხოლო საბავშვო ბაღებში სულ 699 აღსაზრდელია რეგისტრირებული, რეგისტრაცია 1 ოქტომბრამდე გრძელდება, შესაბამისად დასახელებული რიცხვებიც შეიცვლება. წელს საბავშვო ბაღებს საჩუქრად საბავშვო ლიტერატურის ილუსტრირებული, შემეცმებითი, მრავალი სხვა აქტივობებისთვის საჭირო წიგნები გადაეცათ.**



– ვიტყვი, რომ ღია კარის დღემ გაამართლა. მშობლებს შვილებთან ერთად შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ბაღის შიდა და გარე სივრცეები, გაცნობოდნენ თანამშრომლებს, რათა სამომავლოდ პატარები ადვილად შეეგუონ საბავშვო ბაგა-ბაღის გარემოს!

ხელმძღვანელობამ და პედაგოგებმა მშობლებს გააცნეს ბაღის პირობები და წესები.

ჩვენ ბაგის ჯგუფში ვთხოვეთ მშობლებს, იმისათვის რომ ბავშვების გარემოსთან შეჩვევის პროცესი უმტკივნეულად წარიმართოს მშობლებიც ჩაერთონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და გარკვეული დროის განმავლობაში თავდაპირველად დიდხანს არ დატოვონ პატარები. ამასთან მშობლებს ვთხოვთ, გაეცნონ მენიუს. უკვე ჩატარდა მშობელთა კრებები და მშობლებს გავაცანით მენიუ, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, ისიც რომ, ჩვენთან არის დაცული შაქრისა და მარილის დოზები, რადგან ეს ორი პროდუქტი საზიანოა ჯანმრთელობისათვის. მთავარი გზავნილია, რომ აღსაზრდელები და მასწავლებლები კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში იყვნენ, – განაცხადა ნინო ბენდელიანმა.

**როგორ შეაფასებთ თანამშრომელთა გადამზადების პროცესს?**

– ჩვენთან თანამშრომელთა გადამზადების პროცესი თითქმის დასრულებულია. ვისაც უმაღლესი განათლება ჰქონდა და 4 წლის მუშაობის სტაჟი ყველა გადამზადებულია. ანუ აღმზრდელების 99 პროცენტი. დვირის საბავშვო ბაღის თანამშრომლები 2024 წლისთვის გადამზადდებიან. გადამზადდნენ აღმზრდელის თანაშემწეები და მუსიკის მასწავლებლები. ახლა მიმდინარეობს ამერიკის საელჩოს საგრანტო პროგრამა, დაგვიკავშირდნენ ხარისხის ცენტრიდან, ჩემთან ერთად ხუთი დაწესებულების ხელმძღვანელი მალე გადავმზადდებით. სამომავლოდ იგეგმება საერთოდ დაწესებულების ხელმძღვანელთა გადამზადებაც.

**როგორია საკვები პროდუქტების მიღების პროცესი. სანამ აღსაზრდელები მიირთმევენ, როგორია სტანდარტი, რომლის დაცვა ყოველთვის აუცილებელია?**

– ჩვენ გვაქვს სეზონური მენიუ და აღნიშნული ითვალისწინებს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტების სიმრავლეს. საბავშვო ბაღების მენიუ გამდიდრებულია ხილითა და რძის პროდუქტებით, გვაქვს სამჯერადი კვება. დილით საუზმე, წახემსება, რძის პროდუქტითა და ხილით დატვირთული, შემდეგ სადილი და სამხარი. ყველა ის სტანდარტია დაცული და შენახვის პირობები, რაც ბავშვის ჯანმრთელობისათვისაა აუცილებელი. კალორაჟი დაცულია, რა რაოდენობასაც უნდა იღებდეს დღის განმავლობაში აღსაზრდელი.

**რომელ ბაღებს ჩაუტარდათ ბოლო მონაცემებით რეაბილიტაცია და დღეის მდგომარეობით როგორია ბაღებში არსებული ვითარება?**

– ახალდაბის საბავშვო ბაღში გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. მოეწყო ეზო, მშობლების ჩართულობით. ასევე დამონტაჟდა მზის პანელები დვირის, ლიკანისა და ახალდაბის საბავშვო ბაღებში.

წელს დაიწყება ტაბაწყურის ბაღის მშენებლობა და პირველი საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც.

**რამდენადაა დაცული ბორჯომის საბავშვო ბაღებში უსაფრთხოება სათამაშოების ხარისხთან დაკავშირებით?**

– ჩვენ დიდი რაოდენობით შევიძინეთ სათამაშოები. მათი შესყიდვა საერთაშორისო სერთიფიკატით მოხდა, შემიძლია გითხრათ, რომ ყველა სათამაშო ხარისხიანია და მაქსიმალურადაა დაცული უსაფრთხოების ზომები.

ამჯერად კი საგანმანათლებლო პროცესის უკეთ წარმართვისა და ხელშეწყობის ფარგლებში თითოეული საბავშვო ბაღისთვის შეძენილ იქნა ფერადი, ილუსტრირებული, სქელი მუყაოსგან დამზადებული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი, ინტერაქტიული და სამოძრაო ელემენტებით დატვირთული ხმოვანი წიგნები.

სწორად შერჩეულ წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ჰოლისტური განვითარებისთვის. ასაკობრივად შესაბამისი წიგნები ხელს უწყობს ბავშვის მეტყველების კომუნიკაციურ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. ამიტომ მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულებებისთვის შერჩეულ იქნას ხარისხიანი და მრავალფეროვანი საბავშვო ლიტერატურა.

**მივულოცოთ სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება აღსაზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს?**

– მთელი სულითა და გულით ვულოცავ პატარებს, მათ მშობლებს, სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებას. მშვიდობიან, მზრუნველ და წარმატებულ წელს ვუსურვებ.

ჩემი დიდი სურვილია ყველამ გაითავისოს, რომ სკოლამდელი განათლება აუცილებელი და მნიშვნელოვანია. შვილები ატარონ ბაღში, ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, შევუქმნათ კომფორტული, მოწესრიგებული და თბილი გარემო.

**იზა იანვარაშვილი**

# ახალგაზრდების მონდომებით



**გადავწყვიტე,** მადლობის წერილი მიმეძღვნა ახალდაბაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისათვის **ავთანდილ ცერცვაძისათვის,** მასთან მომუშავე სპეციალისტის – **მალხაზ ჩადუნელისა** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატისათვის, ახალდაბიდან **ზურაბ ბლიაძისათვის,** რომლებმაც მიმდინარე წლის ცხელი ზაფხულის და არა ნაკლები შემოდგომის მიუხედავად, შეძლეს სასმელი წყლის დეფიციტის აღმოფხვრა. ადგილობრივი სამსახურების მუშაკთა აქტიური ჩართულობით მოგვარდა სასმელი წყლის მიწოდება მრავალსართულიანი კორპუსების და ფერდობებზე განსახლებული მოსახლეობისათვის, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ წყლის მიწოდების ნაკლებობას უჩიოდნენ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყლის დებეტის გაზრდა დანარჩენი მოსახლეობის ხარჯზე არ მომხდარა, მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა მოსახლე აქტიურად მოიხმარდა წყალს ხეხილისა და ბოსტნეულის მოსარწყავად.

ახლა დღის წესრიგში დგას სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ცუდი ამინდის პირობებში, ჯერ კიდევ იმღვრევა წყალი, კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მხარში დაუდგება დაბის ახალგაზრდა ხელმძღვანელებს და უკვე დამონტაჟებულ ძვირადღირებულ საფილტრე დანადგარის ამუშავება მოხერხდება.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# შოვი ჩვენი ტკივილია!

დღეს, საქართველოში არ მეგულება ადამიანი, რომელიც არ შეძრა იმ დიდმა ტრაგედიამ, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეს, რაჭას, კურორტ – შოვს. დიდი ადამიანური სევდა და მწუხარება მოგვიტანა ამ ტრაგედიამ. დაიღუპნენ ადამიანები, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე დამსვენებლები, ექსტრემის მოყვარულები და ტურისტები. ქართველებს ჭირი, რომელიც არ გვაკლდა, ყოველთვის გვაერთიანებდა, მტერი თუ მოყვარე, ერი თუ ბერი, მეფე თუ გლეხი ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ ყველანაირ უბედურებებს. დღევანდელ ტრაგედიაში ადამიანის ხელი რომ არ ურევია, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. ბუნებას თავისი კანონები აქვს, რომელსაც თვითონ წერს და თვითონვე აღასრულებს, ამიტომ ყველაფერი ყოველთვის ხელისუფლებას გადავაბრალოთ, რასაც ჩვენი ოპოზიციური პარტიები აკეთებენ, ეს უბრალოდ დამწუხრებული ადამიანების საქციელს კი არ გავს, არამედ უფრო „მოსახვევში“ ჩასაფრებული, ხელისუფლებაში დაბრუნების ავადმყოფური სურვილებით გაჟღენთილ პოლიტიკოსების დე-მარშს. ლამის და მთელი თვეა მაშველები, მოქალაქეები, ჯარისკაცები დღე და ღამე, ტალახში, ადიდებულ მდინარეებში, წვიმასა და ქარში ეძებენ დაღუპულებს, იმის ნაცვლად, რომ მხარში დაუდგნენ ხელისუფლებას და რითიც შეუძლიათ ისე დაეხმარონ ოჯახებს, ოპოზიციონერები პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ, უნდათ იაფფასიანი პოლიტიკური ქულები დაიწერონ. არადა, ვიღას ჯერა დღეს იმ პარტიის იდეოლოგების ღაღადისი, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს სულის ამოხდით გვემუქრებოდნენ.

ბუნება რომ ბრძანებელია, ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ არც ადამიანები ექცევიან ბუნებას ადამიანურად. რაც ქვეყანა დაინგრა, ათასობით ჰექტარი ტყე გაიჩეხა და დაიწვა. განაშენიანებზე და აღდგენაზე კი არავის უფიქრია.

რა თქმა უნდა, ბუნებაც არ გვპატიობს ამ ბარბაროსობა, რასაც ერის წინაშე ვიჩენთ და ბევრჯერ უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან, რომლებსაც ბუნებისთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებიათ, ამიტომ, დღეს ყველამ უნდა დაივიწყოს საკუთარი ამბიციები და შოვის ტრაგედია ქვეყნის ტრაგედიად უნდა აღვიქვათ და ყველამ ჩვენ ჩვენი წილი აგური უნდა დავდოთ, რათა დავუბრუნოთ შოვს ძველი სილამაზე და ადამიანებს კი – იმედი, რომ მათ გვერდით მთელი საქართველოა.

# ბუნება მბრძანებელია...



ბუნება მბრძანებელია, უთქვამს ვაჟასა ფშაველსა,
თავისი საიდუმლო აქვს მყინვარსა, მთასა და ველსა,
ხალხნი ვართ, ვცხოვრობთ და ვცოცხლობთ, ბუნების კანონებითა,
ზოგჯერ გვალაღებს, ზოგჯერ კი, გვაოცებს თავის ქცევითა.
ზოგჯერ ტყემალს გავს მწარესა, დარგულსა პაპის ხელითა,
დღეს კბილებს ჭრის შვილთაშვილს და ვტირით ეკლის ჩხვლეტითა
და არც ცოდვებს არ გპატიობს, ჩადენილს ჩვენი ნებითა,
ხან თვითონ გითხრით საფლავსა, ჩვენსასა ჩვენივ ხელითა.
ხან აგვაყვავებს, ხანაც კი, უნდა დაგვაქცევს სულ მთლადა,
ბუნება ჩვენი ფილტვია, მისით ვცოცხლობთ და ვსუნთქავთო.
სიცოცხლე უნდა ყვავილსა, მცენარესა და ხესაო,
თუ მოვექცევით მტრულადა, არ გაგვიმართავს ხელსაო.
ბუნება მბრძანებელია, რად ვერ გავიგეთ ხალხოო...
ხომ ხედავთ, თავზე ზეცაი რამდენჯერ ჩამოგვამხოო.
ნუ ვაფათურებთ ხელებსა, დედა-ბუნების ხელშიო,
ნუ გავცვლით სალსა კლდეებსა, ოქროში და ნურც ფულშიო,
ნუ მოვექცევით ბუნებას, შაჰ-აბასივით მართლაცო,
ნუ დავუტოვებთ შვილთაშვილს მხოლოდ ჯირკვებს და ნაცარსო.
არასდროს არ გვაპატიებს შთამომავლობა ამასა,
საფლავში აგვაძაღლებენ, გჯეროდეთ მამა-პაპასა.
უნდა ვეფეროთ ბუნებას, როგორც რომ დედა-შვილსაო.
და ისიც მოგვცემს სიკეთეს, სუყველას ჩვენ-ჩვენ წილსაო.
ბუნება მბრძანებელია, უთქვამს ვაჟასა ფშაველსა,
ავაბიბინოთ მთა-ველი, ვეტყოდი ყველა ქართველსა,
ბუნება განა ბრმა არის, ყველგან ჭვრეტს მისი თვალიო,
ხან სეტყვა გაგვაპარტახებს, ხან კიდევ ქარიშხალიო.
მასთან არასდროს არც თხოვნა, არც ჩხუბი და არც ქრთამიო.
ხან გვალვა გაგვანადგურებს, ან ჩამოწვება ზვავიო,
თვითონ წერს თავის კანონებს და აღასრულებს თავადვე,
ნუ მოვიქცევით ისე, რომ ბუნება ნაოხრალს გავდეს
ეს მიწა და ეს მთაველი, ჩვენ ხომ უფალმა გვაჩუქა.
და ამ მზითვს ჩემო ქართველნო, ნურვინ ავიგდებთ აბუჩად.
ტყე შევუნახოთ შვილებსა თავისი მინდორ-ველითა,
და ჩვენს მარჩენალ ბუნებას, ნუ მოვკლავთ ჩვენივ ხელითა.

**ჯემალ ბიბილური**

# თხოვნას ვბედავ ღვთისმშობელო...



როცა ღმერთი ზეცას შრომით დაიღალა
და დაღლილმა დასვენება დააპირა,
შექმნა ერთი ციდა, კოხტა ედემი და
სულიერად დასვენება გადაწყვიტა.
როცა თვალი შეავლო და შეამოწმა,
მან ნაშრომით, წრფელი გულით გაიხარა
და ედემის მოსავლელად, საპატრონოდ
ნაზარეთში, მარიამი დაიბადა.
ამ წალკოტს კი მან უწოდა
საქართველო,
და კურთხევა არ მოაკლო,ააყვავა,
ყველა ხილი, ფრინველი თუ
ველ-მინდვრები,
თვალის, გულის, საამებლად გაახარა!
მას შემდეგ კი ქალწულს თხოვნით
არ ვასვენებთ,
უამრავი სურვილებით ვაწუხებთ,
მტერიც ბევრი ერგო, ზოგიც შინაური,
ქვეყნისათვის რომ სჭედავენ მარწუხებს.
ღვთისმშობელო, ყველა დედას დაეხმარე,
შენი კალთით დაიფარე შვილები,
ცხრა თვე მუცლით ნატარები, ნაწვალები,
ნაშობები, სიმწრით გამოზრდილები.
დედის ამაგს ვერ გადიხდის ვერა შვილი,
დედა-შვილი ყველგან საფიცარია,
ერთმანეთს რომ აფასებენ, პატივს სცემენ,
ცრემლები გვდის და გულით გვიხარია.
დედა, შვილის გამო ცეცხლშიც ჩავარდება
თავსაც დასდებს, ლახვარს თვითონ ჩაიცემს
შვილის ტანჯვით ნაწამები, დარდიანი
მთელ ცხოვრებას მერე შავსაც ჩაიცმევს.
ზოგმა შვილმა დედაზე ხელი აღმართა
და შვილებმა სირცხვილი რომ არ ჭამონ,
ლოცვით შეგთხოვ ღვთისმშობელო,
შენი ძალით
ზოგ შვილს დედის სიყვარული ასწავლო.
ღვთისმშობელო, გაგვახარე შენი შობით,
შენი ძალით დაიფარე სამყარო,
რომ ღვთის მიერ გაჩენილი ეს წალკოტი,
დანგრეული და მომსპარი არ ვნახოთ.
შენი კალთით, შენი ლოცვით დაგვიფარე,.
საქართველოს ააშორე განსაცდელი,
ბევრი შობა გვეზეიმოს მარიამო,
დაილოცოს შენი ძალი და სახელი.

**იზო სარქისიანი.**

# 60 რეპორტიორი ქალი ერთ სივრცეში

**საერთაშორისო კონფერენცია ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის რეპორტიორ ქალთა აკადემიის ინიციატივითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ბათუმში გაიმართა. წამყვანმა სპეციალისტებმა დეტალურად ისაუბრეს გენდერული სამართლიანობის გაშუქების საკითხებზე კონფლიქტის დროს და როგორ უნდა ვიმუშაოთ გენდერული სამართლიანობის შესახებ კონფლიქტის კონტექსტში.**

**ჩვენ ნახევარი სამყარო ვართ! – ასეთია გერმანიის ფემინისტური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც დოქტორი მეხთილდ ბაუმანი პროექტის კოორდინატორი და ორგანიზატორი გალინა პეტრიაშვილი (გალა პეტრი) აღნიშნავენ.**



**პრეზენტაციები** წარმოდგენილი გახლდათ საერთაშორისო ენაზე - ინგლისურად. თემები ეხებოდა საერთაშორისო წესრიგსა და დიპლომატიას, კონფლიქტის ზონების შემთხვევას სამხრეთ კავკასიაში. მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ჟურნალისტებისათვის სტამბულის კონვენციისა და ევროპის საბჭოს სტანდარტების შესწავლა; ასევე პარალელური სემინარები ჟურნალისტური უნარების შესახებ, ყალბი ამბები, მანიპულირება და პროპაგანდა, ფაქტების შემოწმების ტექნიკა და ინსტრუმენტები **თამარ კინწურაშვილმა** და **თინა თვაურმა** მედიის განვითარების ფონდიდან პრეზენტაციის სახით გაგვაცნეს და ჩვენი ჩართულობით პრაქტიკული აქტივობებიც დაიგეგმა. გეოლოკაციასა და ფოტოლოკაციის შესაძლებლობებზე, როგორ მივუდგეთ კონფლიქტებს ციდან, **გივი გიგიაშვილმა,** რომელიც გახლდათ კავკასიის მკვლევარი ატლანტიკური საბჭოს ციფრული სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიაში ვრცლად ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე.

ჟურნალისტებს გაჭიანურებული კონფლიქტების გაშუქების გამოწვევებზე საქართველოში, BBC-ის მსოფლიო სამსახურის რეგიონულმა კორესპონდენტმა თბილისში **ნინა ახმეტელმა** წარმოგვიდგინა.

მესამე დღეს, „ჰილტონი ბათუმი“-ს საკონფერენციო დარბაზში დოქტორმა **ოლივერ ვოლემ** „ბერგჰოფის“ ფონდიდან, პლენარული სხდომა გახსნა თემით - გამოწვევები კონფლიქტებთან გამკლავებაში (რომ ქალის როლი არ არის შეფასებული პოლიტიკური ნდობისა და მშვიდობის მშენებლობაში).

წერილობითი სიტყვის ძალა, გენდერულად მგძნობიარე გაშუქების კარგი და ცუდი მაგალითების ანალიზი, მიგრანტი ქალები - ტენდენციები და გამოწვევები, ეს იმ საკითხთა კიდევ არასრული ჩამონათვალია, რომლებიც 5 დღის განმავლობაში შეხვედრებზე მთელი დღის მანძილზე განიხილებოდა.

გიდის ტურმა, რომელმაც ბათუმის მთავარი უბნები და ღირსშესანიშნაობები გაგვაცნო კონფერენციის ერთ-ერთ საკითხს ეხებოდა, როგორც „გენდერულად მგრძნობიარე ურბანული დაგეგმარება ბათუმში.

- რეპორტიორ ქალთა აკადემია აერთიანებს ქალ ჟურნალისტებს გერმანიიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და კავკასიიდან. აწარმოებს გაცვლით პროგრამებს და ხელს უწყობს ქალი ჟურნალისტების როლის გაძლიერებას საზოგადოებაში. სწორედ ამ მიზნით აღმოვჩნდით 60 ქალბატონი ერთ სივრცეში პოზიტიურ, საქმიან და სასარგებლოსთან ერთად სასიამოვნო გარემოში, - გვითხრა კონფერენციის მონაწილემ მაია ორთოიძემ.

**იზა იანვარაშვილი**

# წინაპართა ნაკვალევზე

**ბორჯომის** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულ-მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენა-შესწავლის მიზნით პერიოდულად აწყობს სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებს.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს მუზეუმის ექსპედიცია დილის 8 საათზე მუზეუმის ავტომანქანით გავემგზავრეთ გუჯარეთის ხეობაში, გვირგვინას მთაზე არსებული წმ. გიორგის ეკლესიის მოსანახულებლად. 40 წუთის მგზავრობის შემდეგ ავედით გუჯარეთის ხეობაში არსებულ ნასოფლარ მაჭარწყალთან. წინასწარი მოკვლევით ვიცოდით, რომ აღნიშნული ეკლესია მდებარეობდა გვირგვინას მთის შუა წელში, ნასოფლარ „ველის“ ტერიტორიაზე. რამდენიმე წუთის შესვენების შემდეგ გავემგზავრეთ საფეხმავლო ბილიკით მაჭარწყლის ჩრდილო-დასავლეთით, ბილიკი თანდათან მაღლა-მაღლა მიიწევდა. ორსაათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ გავედით შედარებით ვაკე მინდორში, მინდვრის დათვალიერების შემდეგ ჩვენგან დაახლოებით 300 მეტრში შევამჩნიეთ დიდი ლოდების გროვა. რომელიც აღმოჩნდა, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია ბაზილიკის ტიპისა ყოფილა. მისი ზომებია 5X3მ, ეკლესიის შესასვლელი დასავლეთის კედელშია გაჭრილი, ტაძრის ბალავერი სამწუხაროდ აღარ იკითხება, ტაძარი ძლიერადაა დაზიანებული, დაფარულია მწვანე საფარით და თავისივე ნაშალი ქვით, შემორჩენილი ქვის წყობა ერთი მეტრის სიმაღლემდეა, წყობა ციკლოპურია (ნაგებია მშრალი დიდი ზომის ლოდებით, უდუღაბოდ), მასალად გამოყენებულია რუხი ფერის ადგილობრივი ჯიშის ქვის ლოდები, რომლებიც სავარაუდოდ მშენებლებს ახლომახლო ტერიტორიიდან უნდა მოეტანათ. შევცქერით რა ამ უზარმაზარი ქვების გროვას, გაკვირვებასა და განცვიფრებას ვერ ვმალავთ თუ საიდან ან რითი მოიტანეს ეს უზარმაზარი ლოდები, რა რწმენამ შეაძლებინა ჩვენს სახელოვან წინაპრებს ამ ყველაფრის კეთება იმ უმძიმეს ვითარებაში, როდესაც არაბთა 400 წლოვანი ბატონობის მძიმე უღელი ედგა ქვეყანას. სწორედ ამ პერიოდში ბარში მცხოვრები ჩვენი წინაპრები ფიზიკური გადარჩენის მიზნით იხიზნებოდნენ და სახლდებოდნენ ისეთ უსიერ ტყეებში, როგორიც გვირგვინას მთა და მისთანები იყო, ეს ადამიანები წლების განმავლობაში ტყის ხილითა და ნადირის ხორცით იკვებებოდნენ.

ტაძარი ძლიერადაა დაზიანებული და მისი რესტავრაცია ან კონსერვაცია საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს.



ჩვენი აზრით ტაძარი აშენებული უნდა იყოს დახლოებით VIII-IX საუკუნეებში, მას შემდეგ რაც არაბობა მძიმე ულლად აწვა ქართველ ხალხს. ისტორიულად ცნობილია, რომ VIII საუკუნის დასაწყისში (735-38წ.წ.) საქართველოში შემოიჭრა თავისი სისასტიკით ცნობილი არაბი სარდალი მურვან ყრუ, რომელმაც მიწასთან გაასწორა მთელი საქართველო, ადგილობრივი მოსახლეობა მთებში იხიზნებოდა და ალბათ ნასოფლარ „ველზე“ არსებული წმ. გიორგის ეკლესიის აშენებაც იმ დროს უნდა მივაკუთნოთ. ამგვარი ტიპის მცირე ზომის ერთნავიანი ბაზილიკები ბორჯომის რაიონის ფარგლებში, მიუვალ ადგილებში დღემდეა შემორჩენილი ასეთებია: ქვაბისხევი-ლომის მთა, გუჯარეთი-ბარძიმჯვარი და სხვა... აღნიშნული ეკლესიების სიმრავლე და მიუვალობა ნათლად მეტყველებს იმდროინდელი ჩვენი წინაპრების რწმენის სიმტკიცესა და ცხოვრების სიდუხჭირეზე.

P.S. **ჩვენი აზრით მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ დატოვებული ისტორიულ-მატერიალური ძეგლების შემდგომი პოპულარიზაციით. საჭიროა მოეწყოს საფეხმავლო ბილიკები შესაბამისი ორენოვანი მიმთითებელი წარწერებით (დაფებით). იქნებ შესაძლებელი იყოს ამ ეკლესიის აღდგენა-განახლება, ეს ძეგლი ხომ ჩვენი ისტორიის შემადგენელი ნაწილია.**

ექსპედიციის მონაწილენი: ექსპედიციის ხელმძღვანელი - **გიორგი ლაზარაშვილი**, წევრები: **აკაკი სარალიძე, მიშიკო ორჯონიკიძე, ალგი ლომიძე.**

### პოეზიის კუთხე

# რუსთაველის დედულეთი





რუსთაველის დედულეთი – ღვთისგან ნალოცი მესხეთი,
მის მედიდურ ციხე-ტაძრებს შერჩათ ძველი ცრემლის წვეთი,..
დღემდე კიდევ ამჩნევია იარები, – ხმლით ნაკვეთი,
რამდენჯერ აქვს მის გულს სისხლი, წვეთ-წვეთ ზედ ჩამონაღვენთი?!.
საქართველოს სილამაზე აქ სრულებით სხვა გვარია,..
აქ ხომ მისი გული ისევ ძველებურად მაგარია,
– რადგან თამარის ანდერძით ქართლის ბედი აბარია,
ვარძია ხომ სვეტიცხოვლის სალოცავთა სადარია!..
ტყეც მდიდარი გქონდა, თურმე – სილამაზით არნახული...
– შენს მიწაზე მოდიოდა დიდებული ჭირნახული...
ახლა აღდგა ყველაფერი, – აღარა ხარ წამებული,
მტკვარიც ლაღად მოდუდუნებს – ისივ „შეჰყეფს ვარდს ბულბული...“
მშობლიურო ჩვენო მიწავ, ახლა ნუღარ გეშინია?!
– აწმყო, დიდი მომავალი, – ორივენი ხომ შენია!..
ყოველივე შენს გარშემო უფლის ნებით ნაშენია,
ვერვინ ერჩის სიდიადეს, რაც მესხეთის სამშვენია!
გავა კიდევ რამდენიმე საუკუნე, – ასწლეული...
შენი დროშა კვლავ დარჩება ცამდე მაღლა აწეული!...
შენს მიწაზე გაიხარებს ყურძნის ვაზი, ბროწეული,
ბარაქა და დოვლათ-ხვავი, – ახლებურად მოწეული!..
შენ გეძლვნება მესხი მგოსნის დიდებული საჩუქარი...
შენს კალთაში გაზარდა – შოთა, ბრძნულად მოუბარი,
შენს კლდეებზე არ მოშლილა არწივების საბუდარი,
საქართველოს რაინდების მშობელი ხარ – საკუთარი.
მჭევრმეტყველთა გულთმისნობით, – გელის დიდი მომავალი,
– შენ გზას ვლიდა წმინდა ნინო, – ჯვრით ქართლისკენ მომავალი,
გაამართლე ერის ნდობა, მისხალიც კი არ გაქვს ვალი...
შეგრგებოდეს ღვთისგან მადლით მოწეული მოსავალი!..
მაპატიე, რომ გაკადრე,.. – რუსთაველის მშობელ მხარეს,
– „თქვენობით“ არ მოგმართე და, – ლექსი „შენით“ დავამთავრე?!
– შენს ზრდილობის, ცოდნის კარებს, – ნიავს როგორ მივაკარებ?!
იცოცხლე და იდღეგრძელე, – გამრავლდი და გაიხარე!..
რამდენჯერაც ვიყავ მესხეთს, – შოთას მხარე მოვიარე,
მოკრძალებით შენს წინაშე მუხლი ჩოქვით მოვიყარე!

**რუსლან ჯანიძე**
**1981 წელი**

# გ ე ლ ო დ ე ბ ი თ!



შემეცნებით ცენტრში „მ ა ნ ტ ი ა“ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებითა და მშობელზე მორგებული დროით.

„მ ა ნ ტ ი ა“ ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით 09:00 საათიდან 19:00 საათამდე.

მსურველები დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:
ტელეფონები: 577605984, 579117065.
მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე:
iza.ianvarashvili@gmail.com
ან გვეწვიეთ, ფალიაშვილის ქ. №2
გაეცანით ჩვენს აქტივობებს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე:

**შემეცნებითი ცენტრი მანტია**

### მორალის თემაზე

# მართლა როდემდე?!

**მედიის** საშუალებებით დღე არ გავა, რომ ჩადენილი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდეს (განსაკუთრებული სისასტიკით კი ოჯახის წევრის მხრიდან ოჯახის წევრის მიმართ საშინელი სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები სჭარბობს, ჩვენდა სამწუხაროდ). რამდენიმე დღის წინაც საშინელი ინფორმაცია გავრცელდა, სამართალდამცავმა, თბილისში დოლიძის ქუჩაზე, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ყოფილი მეუღლე და სიდედრი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და შემდეგ თვითონაც თვითდაზიანება მიიყენა. მოკლედ, გაირკვა, რომ შემთხვევას მხოლოდ შვილები და კიდევ ოჯახის ერთი ახლობელი გადაურჩა, რომელიც როგორც თქვეს, აბაზანაში ჩაიკეტა, შემდეგ კი როგორც ხდება ხოლმე, მედიის მხრიდან იწყება ტყუილმართლის ძიება და განსაკუთრებული ინტერესით კი სამეზობლოს დაკითხვა მიდის ასეთი ამბების დროს და სწორედ მედიიდანვე ირკვევა, რომ დამნაშავე პიროვნებაც აღნიშნულ დოლიძის ქუჩაზე ცხოვრობდა მშობლებთან ერთად სხვა კორპუსში და შვილებს და მეუღლესაც მაინც უწევდათ მამასთან და ყოფილ მეუღლესთან მისვლა. მოკლედ, რეალურად მკვლელობის ნამდვილი მიზეზი მედიამ არ უნდა გამოიძიოს და გააშუქოს, მაინც დამალული და დაფარულია და რა ხდება იმ გადარჩენილი ოჯახის წევრების ფსიქიკაში და იმ არასრულწლოვანი შვილების გულში წარმოდგენაც კი არ შეიძლება. ისმის ადამიანური კითხვები აღნიშნული შემზარავი ფაქტის მიმართ – კი მაგრამ რატომ? რატომ უნდა მოუვიდეს თუნდაც ყოფილ მეუღლეს აზრად, რომ შვილების თანდასწრებით დედა მოკლას? და მითუმეტეს სამართალდამცავ პიროვნებას, რომელიც სანიმუშო ყოფა-ქცევით უნდა გამოირჩეოდეს და საზოგადოების მხრიდან უდიდესი ნდობით სარგებლობდეს. სწორედ ის მი-



დის და გამოაქვს სასიკვდილო განჩენი შვილების დედისთვის. უბრალოც იმდენად ყოველდღიურობად იქცა მსგავსი შემზარავი ფაქტები, რომ რეალურად ზუსტი სტატისტიკაც კი არ დევს არსად, თუ დღეში რამდენი ასეთი შემზარავი ფაქტი ხდება ჩვენ ქვეყანაში. მიზეზებზე ლაპარაკი, თუ რის გამო, რა მიზეზითა და მოკლა ადამიანმა ყოფილი მეუღლე არანაირ კონტექსტში არ ამართლებს მის საქციელს. სადამდე უნდა დაეცეს ადამიანი, რომ მკვლელობა ჯერ დაგეგმო, მერე მიხვიდე და შვილებს თვალწინ მოუკლა დედა. უბრალოდ სადამდე მიდის ადამიანების სისასტიკე და მხოლოდ საკუთარი თავის თავმოყვარეობაზე ფიქრი, რომ აღარ ფიქრობ შვილების მომავალზე, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე დაღდასმულები რჩებიან და ასე მგონია, რომ რაც არ უნდა წლები გავიდეს, მხოლოდ და მხოლოდ უსუსურობის შეგრძნება იქნება მათი თანმდევი და სხვა არაფერი. სწორედ ოჯახის უფროსი, მამაა შვილებისთვის მისაბაძი და სწორედ ისინი მამის სახით ხედავენ დედისა და ოჯახის დამცველს და ამ დროს სწორედ მათ მიერ გაიდეალებული პროვნება, მათი სისხლი და ხორცი დედას კლავს. მე არც იურისტი გახლავათ და არც ფსიქოლოგი, თუმცა წმინდა ადამიანური გრძნობებიდან გამომდინარე ვსაუბრობ და ვაფიქსირებ ჩემ მოსაზრებას და გულწრფელად ვამბობ, რომ მე ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების მეშინია, ოჯახი მაქვს, შვილები მყავს, რომლებსაც მომავალში საკუთარი ოჯახები ექნებათ და სამწუხაროდ, ჩვენ სახელმწიფოში უსაფრთხოების განცდის ნაცვლად დაუცველობასა და უსუსურობას ვგრძნობ და სწორედ ასეთი უპასუხისმგებლო სამართალდამცავები კიდევ მეტ უნდობლობას გვიყალიბებენ კანონის უზენაესობის მიმართ. ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ უფლის მოწყალების იმედად გვიწევს ყოფნა და ისმის კითხვა – **მართლა როდემდე?**

**ნატო გელაძე**

## გამოეხმაურეთ, ვისაც შინაური ცხოველები გიყვართ!



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ვეძებ ჩემი ძაღლისათვის ფასიან შემფარებელს, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე მოსავლელად მივაბარებ ძაღლს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 მაისამდე. ვალდებულებას ვკისრულობ, ყოველი თვის პირველ რიცხვში შემფარებელს ძაღლისათვის მივაწვდი 20 კგ. მშრალ საკვებს და ჩავურიცხავ 100 ლარს. აუცილებელ პირობაში გასათვალისწინებელია ძაღლის შემფარებლის ეზო იყოს შემოღობილი, რათა არ დაიკარგოს ძაღლი. სასურველია, შემფარებელს უყვარდეს ცხოველები და ქონდეს ძაღლის მოვლა-პატრონობის გამოცდილება.

ძაღლი აცრილია და სტერილურია (არ მრავლდება).

მსურველებმა დამირეკეთ ტელეფონზე: 598 377 183.

გავისაუბრებთ და თუ შევთანხმდებით მოგიყვანთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნებისმიერ სოფელში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მომაკითხეთ.

**მარინა მესხი.**
სოფელი ლარები.

## შევნიშნეთ, გამოვასწორეთ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (21 სექტემბრის №40) მეორე გვერდში გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „ბორჯომში მასწავლებელთა კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია“, უნდა იკითხებოდეს „ბორჯომში მასწავლებელთა კვალიფიკაცია მაღალია“. რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ იზოლდა ლომიძეს ბოდიშს ვუხდით.

## გია (ბუთა) გელაშვილის მონატრება



ჩემო გია, გავიდა შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილიანი 40 დღე, რომელსაც უშენობა ჰქვია. მონატრება არ ნელდება, გეფერებით შორიდან. მართლაც ასეთი ყოფილა წუთისოფელი, ცოცხალი ადამიანი ყველაფერს უძლებს, ცდილობს, ეჩვევა იმ ყოფას, რომელსაც იძულებულია შეეგუოს. შენი სურათები გულს გვითბობს. შეგონებები, თბილი სიტყვები, შენეული ოპტიმიზმი და შემართება სანთლად გვინათებს ამქვეყნიური ცხოვრების გზას. თვალები გეძებენ, გული გელოდება, გვაკლიხარ და გეფერებით უსაზღვროდ.

ნათელი და სანთელი არ მოგაკლოს უფალმა, უკუნითი უკუნისამდე!

**შენი ოჯახი.**

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლი მწუხარებით თანაუგრძნობს მამა გერასიმეს სიმამრის

**ნოდარ პიტიურიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე